



**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia**



KA030135547646319

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/13266

19 / ივლისი / 2019 წ.

სამედიცინო დანესებულებებს

მოგესალმებით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული სამედიცინო დანესებულებებისთვის ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში მონაცემთა ატვირთვა სავალდებულო გახდა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დამდგარი იმ შემთხვევებისას, რომლებიც დაიწყო 2019 წლის 15 იანვარს, ხოლო საქართველოს მასშტაბით არსებული დანარჩენი სტაციონარული დანესებულებებისთვის - სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დამდგარი იმ შემთხვევებისას, რომლებიც დაიწყო 2019 წლის 1 მაისს.

მოგესხნებათ, აღნიშნული პროექტი საქართველოსთვის არის ინოვაციური და საჭიროებს სისტემის დანერგვის პროცესში თქვენს აქტიურ ჩართულობას.

ამავდროულად, „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის № 01-1/ნ ბრძანების 5³ მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სტაციონარული სამედიცინო დანესებულებები უზრუნველყოფენ ყველა სტაციონარული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ასახვას 2019 წლის 1 სექტემბრისათვის, მათზე არ გავრცელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლის და სხვა ზედამხედველობითი ღონისძიებები, ასევე, საჭარიმო სანქციები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და უზრუნველყოთ სტაციონარული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის ასახვა ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში.

აქვე, გაცნობებთ, რომ საქართველოში ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია